

სკოპინგის დასკვნა № 32

საქმიანობის დასახელება: 50 000 მ³ საერთო მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარებისა და წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „გურია ფიშ ფარმინგ“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წყალწმინდა;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 25.05.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „გურია ფიშ ფარმინგის“ (ს/კ 433649714) მიერ წარმოდგენილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. წყალწმინდაში 50 000 მ³ საერთო მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარებისა და წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე თევზსაშენი მეურნეობის მშენებლობა 2021 წელს დაიწყო, ხოლო თევზის ზრდის პროცესი 2022 წლის პირველი იანვრიდან მიმდინარეობს. სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ შპს „გურია ფიშ ფარმინგი“ სოფ. წყალწმინდაში აწარმოებს - წელიწადში 35 ტონა ნორვეგიულ ორაგულს. კომპანია გეგმავს არსებული თევზსამეურნეო საქმიანობის გაფართოებას, მათ შორის 50 000 მ³ საერთო მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარების განთავსებას და წელიწადში 10 000 ტონა ნორვეგიული ორაგულის წარმოებას.

დოკუმენტის შესაბამისად, შპს „გურია ფიშ ფარმინგი“, აღნაგობის უფლებით, საქმიანობას ახორციელებს შპს „ყვავილნარის“ საკუთრებაში არსებულ 8,000 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. შპს „გურია ფიშ ფარმინგი“ საქმიანობის გაფართოების მიზნით გეგმავს, ასევე შპს „ყვავილნარის“ (კომპანიასთან შეთანხმებით) სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ნაწილით (ს/კ: 27.16.41.881; ფართობი - 55,500 მ²) სარგებლობას. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთით, 40 მეტრის დაშორებით ესაზღვრება შავი ზღვა, ხოლო აღმოსავლეთით, 50 მეტრის დაშორებით მდ. სუფსა. თევზსაშენი მეურნეობის ტერიტორიას ესაზღვრება სასტუმროები და დასასვენებელი კოტეჯები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ობიექტიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე 260 მეტრს შეადგენს, თუმცა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი თევზსაშენი მეურნეობის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 84 მეტრით, **აღნიშნული საკითხი გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.** საპროექტო ტერიტორია ექცევა - გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმარებითი ტერიტორიის ფარგლებში, რომელზეც სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები (ბრძანება-N 2-1507; 29/10/2021).

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა და ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტები. უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა რეგიონში თევზსამურნეო კულტურის განვითარების, წარმოებული პროდუქციის საექსპორტო ღირებულებისა და პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. დოკუმენტში განხილული სამი ტექნოლოგიური ალტერნატივიდან (I - გალიების ე.წ. ქეიჯების პრინციპი; II - რეცირკულაციური აკვაკულტურის სისტემა და III - ღია სისტემა), აკვაკულტურისთვის წყლის საჭირო ტემპერატურის მიწოდების შესაძლებლობისა და წარმოებული პროდუქტის ხარისხის გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა III ალტერნატივას (ღია სისტემა). მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე განხილული იქნეს ასევე საქმიანობის განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივა, შესაბამისი დასაბუთებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, არსებული თევზსამური მეურნეობის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: 8 ცალი რკინაბეტონის ცილინდრული ფორმის რეზერვუარი; სალექარი, რომელშიც ჩაედინება რეზერვუარებიდან გამონამუშევარი წყალი; მილსადენი, რომლის საშუალებით გამონამუშევარი წყალი სალექარიდან ჩაედინება ზღვაში (ნაპირიდან 250 მეტრის დაშორებით); მილსადენი, ზღვიდან წყალაღებისთვის (სიგრძე - 550 მეტრი); სატუმბი სადგური; 10 კვ-იანი ქვესადგური; შენობა, რომელშიც განთავსებულია დაჟანგბადების ავტომატური სისტემა; სასაწყობე შენობა (თევზის საკვების შესანახად) და მართვის ოთახი.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად ტერიტორიაზე არსებული (რვა ერთეული) რეზერვუარების საერთო მოცულობა დაახლოებით 4,200 მ³-ია. არსებული რეზერვუარებიდან ხუთი რეზერვუარის დიამეტრი 8 მეტრს, ხოლო დარჩენილი სამი რეზერვუარი - 14 მეტრს შეადგენს. კონსტრუქციის უმეტესი ნაწილი მოთავსებულია ზღვის დონიდან 3,5 მეტრით ქვემოთ, გრუნტში. რეზერვუარების ფსკერს, ცენტრალურ ნაწილში, აქვს კონუსური ჩაღრმავება, საიდანაც გამწმენდი მოწყობილობის მეშვეობით ხდება წყლის მიერ ჩატანილი ნალექის გამოტანა, ნარჩენებთან ერთად. რეზერვუარებიდან წყლის გადინების დროს სისტემა დაცულია თევზის გარემოში გაღწევისგან. კონსტრუქციები მტაცებლები ფრინველებისაგან დაცულია დამცავი ბადეებით. რეზერვუარებზე გრუნტის წყლების გავლენის შემცირების მიზნით მოწყობილია სადრენაჟე სისტემა.

აკვაკულტურის მეურნეობისთვის წყალაღება ხორციელდება ზღვის ფსკერიდან, სიღრმული მილსადენების საშუალებით. სკოპინგის შესაბამისად - სანაპირო ზოლთან, ნაპირიდან 500-700 მეტრის დაშორებით, ზღვის ფსკერზე არსებული კანიონი საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში, მილსადენით, 35-40 მეტრის სიღრმიდან, ხმელეთზე განთავსებულ აკვაკულტურას მიეწოდოს საჭირო ტემპერატურის (8-14°C) წყალი. ზღვის წყალი პოლიმერული მილების და შესაბამისი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება რკინაბეტონის რეზერვუარებს. რეზერვუარებში ჩამავალი წყლის ჟანგბადით გამდიდრება ხდება დაჟანგბადების ავტომატური სისტემის მეშვეობით. ზღვიდან წყლის მიწოდების ავარიული შეფერხებისას, რეზერვუარებში არსებული წყლის ჟანგბადით გამდიდრება ხდება ჟანგბადის ავარიული სისტემის მეშვეობით.

გამონამუშევარი წყალი რეზერვუარიდან სპეციალური გამშვები მოწყობილობის გავლით (სადაც განთავსებულია დამცავი ცხაურა, რეზერვუარიდან თევზის გაღწევის პრევენციის მიზნით) გაედინება სალექარში, რომელიც წარმოადგენს 105 მ³ მოცულობის რკინაბეტონის

კონსტრუქციას და შედგება სამი ნაწილისგან. I ნაწილში ხდება ნამუშევარი წყლის მიღება, II ნაწილში მოთავსებულია მექანიკური ფილტრები, სადაც ხდება წყლის მყარი ნარჩენებისგან გაწმენდა, შემდგომ წყალი გადადის სალექარის III ნაწილში, საიდანაც მილსადენით ჩაედინება ღია ზღვაში. სალექარში წყალი იფილტრება მექანიკური ფილტრების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია სალექარის თითოეულ სექციაში მიმდინარე გაწმენდის პროცესის და ფილტრის ტექნიკური მონაცემების შესახებ, ეფექტურობის დასაბუთებით. წყლის გაწმენდის შედეგად დარჩენილი მყარი ნარჩენების დალექვა ხდება სალექარის პირველ ნაწილში. დალექილი მექანიკური ნარჩენები პერიოდულად იქნება ამოღებული და დროებით განთავსდება სპეციალურად მოწყობილ ადგილას (200 მ²). მნიშვნელოვანია, გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდეს - ინფორმაცია მექანიკური ნარჩენების ამოღების სიხშირის, რაოდენობის, ტერიტორიაზე დასაწყობების დროისა და საბოლოო მართვის შესახებ, მათ შორის აღნიშნული მასის ნიადაგის გასანაყოფიერებლად გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

აკვაკულტურის მეურნეობის სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდგომ განსაზღვრულია თევზის ავზ(ებ)იდან ამოყვანა, დახარისხება, აწონვა, ყინულში შეფუთვა და რეალიზაცია, როგორც შიდა ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთ. მეურნეობაში გათვალისწინებული არ არის თევზის შენახვა-დასაწყობება.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია: არსებულ 8 რეზერვუარს დაემატოს 6 (14 მეტრი დიამეტრის) ახალი რკინაბეტონის, ცილინდრული ფორმის რეზერვუარი. არსებული და საპროექტო რეზერვუარები (ჯამში 14 რეზერვუარი) განთავსდება ოთხ სექციად და საერთო მოცულობა ჯამში 50 000 მ³ იქნება; არსებულ სატუმბ სადგურში დამატებით მოეწყობა სამი ტუმბო; გათვალისწინებულია ასევე დამატებით 2 სატუმბი სადგურის მოწყობა (ერთში 4, ხოლო მეორეში 12 ტუმბოთი); არსებული სალექარის გვერდით, რომელიც ერთ სექციას ემსახურება, მოეწყობა იგივე ზომისა და კონსტრუქციის ახალი სალექარი (ასევე ერთი სექციის მომსახურებისთვის); დამატებით მოეწყობა კიდევ ერთი სალექარი, რომლის პარამეტრები წინა სალექარებთან შედარებით გაცილებით დიდი იქნება და მოემსახურება რეზერვუარების სამ სექციას. სალექარები აღჭურვილი იქნება წყალჩამშვები მაგისტრალური მილსადენებით; ასევე მეურნეობის ტერიტორიაზე იქნება ოფისი; პროდუქციის დამფასოებელი და სალექარის გაწმენდის შედეგად ამოღებული მყარი ნარჩენის დასაწყობების სივრცე; პროექტით გათვალისწინებულია ასევე დაჟანგბადების ავტომატური სისტემის შენობის გაფართოება.

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ, განხორციელდა შპს „გურია ფიშ ფარმინგის“ საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილია ინფრასტრუქტურის ნაწილი. აღნიშნულის შესახებ ეცნობა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, თევზსაშენი მეურნეობა წლის განმავლობაში იმუშავებს 365 დღე/წელ, დღეში რამდენიმე ცვლით, თითოეულის 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ნორვეგიული ორაგულის წარმოება დაგეგმილია 1 მ³ წყალში - 100 კგ თევზის სიმჭიდროვით, შესაბამისად 50,000 მ³ საერთო მოცულობის რეზერვუარებში თევზის მაქსიმალური ტევადობა 5,000 ტონა იქნება. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად,

აკვაკულტურის მეურნეობის გაფართოების გათვალისწინებით, ნორვეგიული ორაგულის წლიური წარმოება იქნება 10,000 ტონა. წლიური წარმადობის გათვალისწინებით დგინდება, რომ აკვაკულტურის მეურნეობაში წლის განმავლობაში დაგეგმილია ნორვეგიული ორაგულის წარმოების ორ ციკლად განხორციელება, რასთან დაკავშირებითაც სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადო ინფორმაცია წარმოდგენილი და გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, მეურნეობის სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება გათვალისწინებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული არტეზიული ჭიდან ან/და არსებული ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. ჩამდინარე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის მიზნით ტერიტორიაზე დაგეგმილია ბიოგამფილტრავი (კანალიზაციის ინდივიდუალური სისტემა) დანადგარის-ბიოლოგიური გამწმენდის მოწყობა, რასთან დაკავშირებითაც გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გამწმენდის ფიზიკური მახასიათებლების, გაწმენდის ეფექტურობის და გაწმენდილი წყლის მართვის შესახებ.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის, შემცირებისთვის ან/და შერბილებისათვის.

დოკუმენტის შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების, მავნე ნივთიერებათა ემისიების გავრცელება და ხმაურის დონის მომატება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს. დოკუმენტის თანახმად, ზემოქმედება არ იქნება ხანგრძლივი და მასშტაბური, იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიაზე უკვე არსებობს გარკვეული ინფრასტრუქტურა და დაგეგმილია მისი გაფართოება. ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება ტუმბოების მუშაობით, თუმცა აღნიშნულია, რომ სატუმბო სადგურები განთავსებული იქნება დახურულ შენობა-ნაგებობებში.

დოკუმენტში ასევე შეფასებულია ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედების რისკები და განმარტებულია, რომ წარმოების პირობებში გამონამუშევარი წყლის ზღვაში ჩაშვება დაგეგმილია სალექარის გავლის შემდგომ, რაც შეამცირებს უარყოფითი ზემოქმედების რისკებს. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, თევზსაშენის ექსპლუატაციის პირობებში სისტემატურად ხორციელდება წყალში ჟანგბადის შემცველობის, მარილიანობის, მჟავიანობისა და წყლის ტემპერატურის კონტროლი.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიასა და ზღვას შორის ვიწრო ზოლად წარმოდგენილია ქვიშნარი სანაპირო, რომელიც დაცულია საერთაშორისო კანონმდებლობით (ბერნის კონვენცია, ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა) და რომელზეც თევზსაშენის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ზემოქმედება. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, სამშენებლო პროცესის და საწარმოს ოპერირების პერიოდში, მაქსიმალურად იქნება შემცირებული ზემოქმედება ქვიშნარებზე და იქ არსებულ მცენარეულობაზე. გზშ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს აღნიშნულ ჰაბიტატზე შესაძლო ზემოქმედების რისკების შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ამასთან განისაზღვროს ზემოქმედების პრევენციის ან/და შერბილების ღონისძიებები. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს ინფრასტრუქტურის გაფართოებისთვის საჭირო იქნება ტერიტორიაზე გაშენებული ფიჭვების ცალკეული ერთეულების გარემოდან ამოღება (მოჭრა). სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ

გამოირჩევა ცხოველთა რაოდენობრივი სიმრავლით. საკვლევ ზონაში და მის შემოგარენში ძირითადად გვხვდება ფრინველები.

თევზსაშენი მეურნეობის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგად, გამოკვლეულ უბანზე და მის ახლოს უარყოფით ფიზიკურ-გეოლოგიურ პროცესებს არ აქვს ადგილი. გრუნტის წყლები ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე იქნა გამოვლენილი. მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებულია ზედაპირული წყლების და ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად შემუშავებული ღონისძიებების განხორციელება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდსა და მერიის საინფორმაციო დაფაზე. განცხადებები განთავსდა ასევე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა აგრეთვე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 16 ივნისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წყალწმინდას საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „გამა კონსალტინგის“, შპს „გურია ფიშ ფარმინგის“, სოფ. წყალწმინდას ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოების მხრიდან შეკითხვები დაისვა მეურნეობის ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ლამიდან არასასიამოვნო სუნის შესაძლო გავრცელების შესახებ, ასევე საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლის მხრიდან ყურადღება გამახვილდა საპროექტო ობიექტიდან შავ ზღვაში წყალჩაშვების ნორმების დაცვისა და ზღვის იქტიოფაუნაზე მოსალოდნელ ზემოქმედების საკითხზე. განხილვაზე ასევე ყურადღება გამახვილდა არსებულ/ მოწყობილ ინფრასტრუქტურასა და სამომავლოდ განსახორციელებელ სამუშაოებზე. შპს „გამა კონსალტინგისა“ და შპს „გურია ფიშ ფარმინგის“ წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას განუმარტეს, რომ სუნის გავრცელების პრევენციის მიზნით დაგეგმილია მეურნეობაში წარმოქმნილი ლამის დროულად გატანა, ამასთან, მათი განცხადებით, სუნის გავრცელებას ქარის მიმართულებაც შეამცირებს, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან ზღვის მიმართულებით ქრის. შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლის განმარტებით, წყლის დაბინძურებისა და იქტიოფაუნაზე შესაძლო ზემოქმედების შემცირების მიზნით, გათვალისწინებული იქნება ჩამდინარე წყლის სალექარებით გაწმენდა, ამასთან გზშ-ის ეტაპზე განისაზღვრება შავ ზღვაში წყალჩაშვების დაზუსტებული პარამეტრები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი იქნა ფ/პ მამუკა გვილავას მიერ.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
 - 3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;
 - 3.2. **გზმ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;**
4. **გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
 - არსებული და დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
 - პროექტის საჭიროების დასაბუთება;
 - საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ის და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
 - საწარმოო ობიექტის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით. მათ შორის, გენგეგმაზე დატანილი უნდა იყოს მოქმედი და საპროექტო რეზერვუარები, ობიექტის შემადგენელი და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, ტექნოლოგიური მოწყობილობები და უბნები;
 - მეურნეობის ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
 - საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/სახლებამდე, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტამდე/ობიექტებამდე (მდებარეობისა და მანძილის რუკაზე მითითებით);
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ახლოსმდებარე მოქმედი/საპროექტო, მათ შორის ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის, ობიექტების შესახებ (მანძილებისა და საქმიანობის მითითებით);
 - საპროექტო ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;

- თევზსაშენი მეურნეობის ტექნოლოგიური სქემის/ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით;
- **დაზუსტებული ინფორმაცია** აკვაკულტურის მეურნეობის ფიზიკური მახასიათებლების, მათ შორის საპროექტო წარმადობისა და სამუშაო რეჟიმის გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია არსებული და საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ, შესაბამისი საპროექტო მახასიათებლების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია:
 - არსებული და საპროექტო რეზერვუარების პარამეტრების შესახებ (მოცულობა, ტიპი, ფართობი, სიღრმე), საპროექტო რეზერვუარების მოწყობის გეგმის მითითებით;
 - არსებული და საპროექტო რეზერვუარების ჰიდრავლიკური დატვირთვის პირობების შესახებ, რეზერვუარების ეფექტურობის დასაბუთების მითითებით (საპროექტო წყლის მოცულობების შეკავების თვალსაზრისით);
 - წყალაღებისა და წყალჩაშვების სიღრმული მილსადენების შესახებ, პარამეტრების, ტიპის და წყლის საპროექტო გამტარუნარიანობის მითითებით;
 - არსებული და საპროექტო სატუმბი სადგურების შესახებ, არსებული და საპროექტო ტუმბოების წარმადობის მითითებით;
 - დაჟანგბადების ავტომატური სისტემის შესახებ;
 - **დეტალური ინფორმაცია** არსებული და საპროექტო სალექარების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ, ეფექტურობის დასაბუთებით. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია სამი სექციის მომსახურებისთვის გათვალისწინებული სალექარის შესახებ. ასევე დაზუსტებული ინფორმაცია სალექარ(ებ)ის თითოეულ სექციაში მიმდინარე გაწმენდის პროცესისა და **ფილტრ(ებ)ის ტექნიკური მონაცემების შესახებ;**
- ინფორმაცია აკვაკულტურის მეურნეობის უმომზღლუდავი ბარიერისა და დამცავი ბადეების შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ;
- ინფორმაცია თევზების კვების ავტომატური სისტემის, ასევე მეურნეობისთვის თევზების საკვებით მომარაგებისა და საკვების შენახვისთვის გათვალისწინებული სასაწყობე შენობის შესახებ;
- ინფორმაცია რეზერვუარებიდან თევზების ბუნებრივ გარემოში (ზღვაში) მოხვედრის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ, განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
- **დეტალური ინფორმაცია** საპროექტო ობიექტის საწარმოო წყალმომარაგების შესახებ, წყალაღების GPS კოორდინატებისა და წლის განმავლობაში (თვეების მიხედვით) აღებული წყლის რაოდენობის მითითებით. ამასთან, ინფორმაცია წყალაღებისთვის გათვალისწინებული ტექნიკური ელემენტების შესახებ;
- ინფორმაცია რეზერვუარებში შემოსული და გასული წყლის მოცულობების შესახებ (თვეების მიხედვით), შესაბამისი დანაკარგების მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია რეზერვუარების პერიოდული დაცლის საჭიროების შესახებ, რეზერვუარებიდან დაცლილი წყლის ჩაშვების მითითებით;
- ინფორმაცია გამონამუშევარი წყლის შავ ზღვაში ჩაშვების შესახებ, წყალჩაშვების GPS კოორდინატების მითითებით;
- ინფორმაცია რეზერვუარებიდან გამონამუშევარი წყლის ხარისხის პერიოდული მონიტორინგის სისტემის დანერგვის და აღნიშნული წყლის ხარისხის ზღვრულად დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შესახებ;

- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია კომპანიის საკუთრებაში არსებული არტეზიული ჭის შესახებ (მიწისქვეშა წყლის აღების შესაბამისი ლიცენზიის მითითებით);
- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ;
- ამასთან, **დაზუსტებული ინფორმაცია** საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შესახებ, ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების მითითებით, მათ შორის: ინფორმაცია საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილის, მოწყობის გეგმის, გამწმენდის ტიპის, პარამეტრების, წარმადობის, ტექნოლოგიური სქემისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ;
- ინფორმაცია აკვაკულტურის მეურნეობის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნის და მართვის საკითხების შესახებ;
- ინფორმაცია სადრენაჟე სისტემის შესახებ, ტექნიკური პარამეტრებისა და ეფექტურობის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- **დაზუსტებული ინფორმაცია** სალექარ(ებ)ში დაგროვილი ლამის/მექანიკური ნარჩენების შესახებ, ამოღების სიხშირის, რაოდენობის, დასაწყობების ადგილის, დროისა და საბოლოო მართვის მითითებით (მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია აღნიშნული მასის ნიადაგის გასანოყიერებლად გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ);
- სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული მოწყობითი სამუშაოების აღწერა, შესაბამისი ვადების/სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით; ინფორმაცია გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ; დაზუსტებული ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი გრუნტის რაოდენობისა და მათი მართვის შესახებ;
- მოცემული უნდა იყოს წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- საპროექტო ტერიტორიის საკუთრებისა ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში თევზების სიკვდილიანობისა (წლის განმავლობაში სავარაუდო რაოდენობის მითითებით) და მკვდარი თევზების მართვის ღონისძიების შესახებ;
- ექსპლუატაციის ავარიული შეწყვეტის (თევზების დაავადების და დახოცვის) შემთხვევაში შემდგომი ქმედებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის და დასაქმებულთა შორის ადგილობრივების წილის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ.

4.1. რეზერვუარებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა, სეისმური პირობები, ჰიდროლოგიური პირობები, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;
- გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

5. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი, შესაძლო ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე (მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები), შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- საპროექტო ობიექტის ოპერირების ეტაპზე სუნის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, მათ შორის არასასიამოვნო სუნის გავრცელების წყაროების იდენტიფიცირება და სუნის გავრცელების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ხმაურის გავრცელების კუთხით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, გამონამუშევარი წყლის ზღვაში ჩაშვების წერტილში წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის წარმოების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი (საჭიროების შემთხვევაში);
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია:
 - მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
 - ჭრას დაქვემდებარებული სახეობების შესახებ ზუსტი მონაცემები, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით;
 - ფაუნის კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;
 - მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მათ შორის მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ, კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, არსებული ან/და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/ შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- საპროექტო ობიექტის წლიური წარმადობის (10 000 ტონა), რეზერვუარების საერთო მოცულობისა (50,000 მ³) და 1 მ³ წყალში თევზების განთავსების სიმჭიდროვის გათვალისწინებით დგინდება, რომ აკვაკულტურის მეურნეობაში წლის განმავლობაში დაგეგმილია ნორვეგიული ორაგულის წარმოების ორ ტექნოლოგიურ ციკლად განხორციელება, რასთან დაკავშირებითაც სკოპინგის ანგარიშში სათანადო ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი და გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ ასახული და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს არსებული საქმიანობის, მათ შორის არსებული წარმადობის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ობიექტიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე 260 მეტრს შეადგენს, თუმცა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი თევზსაშენი მეურნეობის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 84 მეტრით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს რკინაბეტონის წყლის რეზერვუარების მოცულობის საკითხი, ვინაიდან სკოპინგის ანგარიშს თანდართული - საქართველოს გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N2765/01 წერილის თანახმად, შპს „გურია ფიშ ფარმინგს“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წყალწმინდაში მოწყობილი აქვს 3 500 მ3 ჯამური მოცულობის რეზერვუარები, ხოლო წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშის შინაარსობრივი ნაწილის თანახმად, არსებული რკინაბეტონის წყლის რეზერვუარების მოცულობა შეადგენს - 4 200 მ3 -ს;

- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ელექტროენერჯის ქვესადგურთან ერთად ტერიტორიაზე მოწყობილია ორი ტრანსფორმატორი, ასევე ალტერნატიული დენის წყარო, ორი დიზელ-გენერატორი. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ტრანსფორმატორებისა და დიზელ-გენერატორის შესახებ, ხოლო ტერიტორიაზე დიზელის შენახვის შემთხვევაში - შემნახავი ობიექტისა და შენახვის პირობების მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიასა და ზღვას შორის ვიწრო ზოლად წარმოდგენილია ქვიშნარი სანაპირო, რომელიც დაცულია საერთაშორისო კანონმდებლობით (ბერნის კონვენცია, ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა) და რომელზეც თევზსაშენის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ზემოქმედება. **გზშ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს აღნიშნულ ჰაბიტატზე შესაძლო ზემოქმედების რისკების შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ამასთან განისაზღვროს ზემოქმედების პრევენციის ან/და შერბილების ღონისძიებები;**
- აკვაკულტურის მეურნეობის შავი ზღვისა და მდ. სუფსის სიახლოვეს განთავსების გათვალისწინებით **დაზუსტებას საჭიროებს** ტერიტორიის შესაძლო დატბორვის და აღნიშნულის პრევენციის მიზნით დამცავი ღონისძიებების განსაზღვრის საჭიროების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, დაგეგმილია ბიოგამფილტრავი (კანალიზაციის ინდივიდუალური სისტემა) დანადგარის-ბიოლოგიური გამწმენდის მოწყობა. **აღსანიშნავია, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია ასევე წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების სფეროს, შესაბამისად გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს** ინფორმაცია გამწმენდის ფიზიკური მახასიათებლების, გაწმენდის ეფექტურობის და გაწმენდილი წყლის მართვის შესახებ;
- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, **გზშ-ის ეტაპზე დამატებით გასათვალისწინებელი, დასაზუსტებელი საკითხები:**
 - სკოპინგის ანგარიში არ ასახავს წყალში გაზავებული ნივთიერებების (აზოტის შემცველი, ფოსფორის შემცველი, ასევე სხვა ქიმიური ნივთიერებები, ანტიბიოტიკების (მათი გამოყენების შემთხვევაში)) ზღვის გარემოში ჩაშვების რაოდენობრივ მაჩვენებლებს და აქედან გამომდინარე მათ შესაძლო ზემოქმედებას გარემოზე და მასში მობინადრე ბიოლოგიურ ობიექტებზე (მაგალითად მაკროუხერხემლოები);
 - გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ზემოაღნიშნული საკითხი და მისი შემუშავებისას გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტისა და მიმდინარე საწარმოო პროცესების სასიცოცხლო ციკლის შეფასების მეთოდოლოგია. სასიცოცხლო ციკლის შეფასება წარმოადგენს მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც გამოიყენება გარემოზე იმ ფართო სპექტრის ზემოქმედების რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისათვის, რომელიც ხდება პროდუქტის ან მისი წარმოების პროცესის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, და ეს შეფასება ზოგადად მოიცავს რესურსების გამოყენებისა და ემისიების რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას, რაც დაკავშირებულია წარმოების

ჯაჭვის ყველა ძირითად ფაზასთან. სასიცოცხლო ციკლის შეფასების მეთოდოლოგია სტანდარტიზებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ;

- არ არის წარმოდგენილი, გაანალიზებული და დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების-წყალჩაშვების შესახებ დეტალური ინფორმაცია, თუ რა ზეგავლენა შესაძლოა მოახდინოს აღნიშნულმა ზღვის ჰიდროფაუნაზე;
- საპროექტო სიმძლავრიდან გამომდინარე არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს თევზამრიდი ნაგებობის გამართვის აუცილებლობა და შესაძლებლობა;
- სკოპინგის ანგარიშით არ არის წარმოდგენილი დღე-ღამური წყალაღების მაჩვენებლები, ამიტომ ვერ მოხდება საქართველოს მთავრობის N-423 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას (საქართველოს მთავრობის N-423 დადგენილების „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მე-14-ე მუხლით-თევზდაცვის მოთხოვნები წყალამღებ ნაგებობებზე „წყალამღები ნაგებობები, წყალაღებით არანაკლებ 5000 კუბ.მ დღე-ღამეში აუცილებელია აღჭურვილი იყოს თევზამრიდი ნაგებობა-მოწყობილობებით“).

- ❖ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „გურია ფიშ ფარმინგის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში 50 000 მ³ საერთო მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარებისა და წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციისას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.